


ნობ. ჯ. მოლებაშვილი



— რატომ თოვავთ?!

— ალექსანდრე კვების ჩეჭიძი შეუცვალა: ახალი
ხორცი, ჰუინტი უველი, უნიტრატო ხილ-ბოსტნეული;
ნატურალური ხიზილალა ჭამეო და... გააფრინა კაცმა!..

ართობის დაირიცა



„ინტერნაციონალი“

ოსი ძმებიც
ძმურად გვჭრიან კისერს!..
აფხაზები
ჩვენს ხერხემალს ხრავენ!..
თათრებს გულში
ჩავურავართ ძმისებრ
და სიყვარულ-
სიყვარულში გვალავენ!..

რუსი ცხვირნინ
გვიტრიალებს ტრაქტატს,
ჩვენგან მონურ
მორჩილებას ითხოვს!..
კაცი ჭკუის
საკითხავი არ გვყავს?!
რა ნერია
იმ ტრაქტატში, ჰეითხოვ!

რაც ვერ გვიწევს
სულთანმა და შაჰმა
რბევის, ძარცვის,
ხოცვა-ულების დროში,

მოგვიტარა
„მეგობარმა“ ხალხმა
ლოზუნგით და
ალისფერი დროშით!..

ქართველს სულში
ჩაანთხიერ შხამი,
ქართულ მინას
მოაპეურეს გესლი,
გაგვიმრავლეს
საფლავი და გვამი,
გაახარეს
ბოროტების თესლი!..

როცა „გვიძმეს“,
იმ ბედნიერ დღიდან
ქართველს გულში
უბრიალებს ცეცხლი!..
არც არავის
მორჩილება გვინდა,
არც ყასიდად
გამოწვდილი ვერცხლი!


იმ დღეს ვნატრობთ,
ველოდებით ყველა,
დროზე მორჩინენ
არქივების „ქექვას“!..
როგორც ერქვა
ჩვენს ქვეყანას ძველად,
საქართველოს, —
სახელმწიფო ერქვას!

მუსახარ ტაში

რევოლუციის
დავუკარით პირველად ტაში,
მერე გაგვიჯდა
ნელა-ნელა რბილსა
და ძვალში!..
ვაშა ოქტომბერს! —
გაპყვიროდნენ
მასები მაშინ
და, სისხლთან ერთად,
იღვრებოდა მქუხარე ტაში!

ხალხი გრგვინავდა,
გუგუნებდა ბარსა თუ მთაში
და ყველაფერზე
გრილებდა მქუხარე ტაში!
დავარბიოთო კულაები!
(მქუხარე ტაში!).
დავაქციოთო მონასტრები!
(მქუხარე ტაში!).
რომანოვები დავხვრიოთო!
(ამაზეც ტაში!).
ვინც სიყალბეს და
ბოროტებას არ უკრა ტაში,
წვეთია ზღვაში!
და დღეს, როდესაც
საფრთხე ელის
საბჭოებს დაშლის,
როცა ზოგ-ზოგი
რესპუბლიკა
გაურბის კავშირს,
ხმა ისმის ტაში!
ყველაც ძველებური
შემართებით
გაისმის ტაში,
მქუხარე ტაში!

ნახ. ვ. ლოლუასი



საქართველოს მთავრობის მინისტრი

რაც გინდა, ისა თქვი, მაგრამ მეოცე საუკუნეს თავისი სასწაულებრივი თავგადასავლებით, ვერც ერთი მისი უფროსი ძმა ვერ შეეძრება: ეს პოლიტიკური ცვლილებით, ეს ომებით, ეს ახალი სიმაღლეებით ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ეს არნახული აღმოჩენებით მეცნიერებაში, ეს კოსმოსი... და კიდევ ვინ მოთვლის, რა არა! თუმცა ჩვენი საუბრის თემა სულ სხვა რამ არის.

მე მინდა ვილაპარაკო ფსიქო ტელე ეთერა პიოს გასაოცარ წარმოშობასა, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოჭრასა და უდიდეს ნახტომებზე, რაც ადამიანის საქმიანობის არც ერთ დარგს სიზმრადაც არ მოლანდებია. მაგრამ აქაც კვლავ ერთხელ უნდა დავიხიო უკან. მე არ მაქვს მხედველობაში კაშპიროვსკის მიღწევები, მილიონობით ადამიანს რომ დაუბრუნა ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა! ასეულობით ადამიანს, სულ რომ არ ელოდებოდა და სიზმარშიც არ უოცნებია, ნაწილიმარზე შინდვრის ბალაზივით აუბიბინდა თმა და წვერი, მათ შორის მამიდაჩიმსაც, ჯერ კიდევ რომ არ ჰქონდა გადანურული გათხოვების იმედი და დღეს საბრალოს თავი რომ ველარ გამოუყვია გარეთ! არც ჩუმაკზე მოგახსნებთ, წყარინინარა და ჩუმად-ჩუმად რომ ანესრიგებს და ასწორებს ჩვენი ორგანიზმის მიერ დაშვებულ შეცდომებს! ეგ კი არადა, სასწაულმოქმედ ძალას ანიჭებს ტელევიზორის წინ დაგდგმულ წყალს! ან ეგ რა არის? თურმე, თუ გსურს, რომ რამენაირად უშველო ვინმე შენთვის ძვირფას დავრდომილ ადამიანს, უნდა მასზე იფიქრო ჩუმაკის ტელეპატიური სეანსების დროს და ლამის მეცნიერებით ალადგენი! აქ ის რა სათემელია, ერთ ჩემს ნაცნობს რომ დაემართა მისი სეანსიდან დაბრუნებულს — მთელი სეანსის განმავლობაში სულ თავის ძმაზე ფიქრობდა, კუჭის წყლიული და ლვიძლის ციროზი რომ უშხამავდნენ სიცოცხლეს, სახლში მისულს კი ძმა ცოცხალი ალარ დახვდა — ის მანქანას გაეტანა!.. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს!

მე სულ სხვაგვარ ფსიქო ტელეთერაპიაზე მაქვს საუბარი. თანაც თვითონაც რომ ვერ გამირკვევია, რა არის ეს — მეცნიერება, ჰიპნოზი, მისტიკა, მოჩვენება, რეალობა თუ კიდევ რა, თუ კველაფრის ამის სინთეზი? ბოლოს და ბოლოს, არც ამას აქვს მნიშვნელობა! როცა იქნება, ხომ გაარკვევენ ამას მეცნიერება და კაცობრიობა. ფაქტი კი ის არის, რომ ეს ფსიქო ტელეთერაპია (ასე მე მოვნათ ლე იგი, სხვას შეუძლია უფრო ზუსტი შესატყვისი მოუძებნოს, თუ ეს არ მოენონება!) ისე შეუმჩნევლად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და ისეთ წარმატებებს აღნევს, კაცმა ძლარ იცი, ღმერთი ინამო თუ ეშმაკი!..

საუბარი ცოტა კი გამიგრძელდა, მაგრამ ფსიქო ტელეთერაპია ეგრე ადვილი აშოსახსნელი როდია, რომ თქვა ეს ესაა,

ამას და ამას შეელის, ასეთი და ასეთი სანინააღმდეგო მაჩვენებელი ჩემს და ყველაფერი ხათელი იყოს. ერთო წერმატებულიც დღესავით ნათელია და წყალი არ გაუვა — ფსიქოტელეტერაპია ისეთი სასწაულმოქმედი რამეა, რაც ყველაფერს უხდება. დიახ, დიახ, აბსოლუტურად ყველაფერს კურნავს, რაც გინდა — ტკივილსაც, შიმშილსაც, წყურილსაც, სილარიბესაც, მარტონბასაც, მოწყენილობასაც და, ვიც მოთვლის, კიდევ რას არა!.. ეს, რაც შეეხება მისი მოქმედების არეალს.

არსებობის ისტორია კი დიდი არ უნდა ჰქონდეს — მისი წელთაღრიცხვა სულ რაღაც ორმოცამდე წელს ითვლის, მაგრამ ვითარდება და ძლიერდება წარმოშობის დღიდან დღითიდე და თვალდათვალ გასაოცარი პროგრესით.

ალბათ, არ გჯერათ, რასაც გეუბნებით, ჩემს ბოდვად მიგაჩნიათ. არა, ბატონი! ყველაფერი, რასაც ახლა ვამბობ, რომ აბსოლუტური სიმართლეა და წყალი არ გაუვა, თქვენც კარგად იცით, თუმცა ამოცნობა ვერ შეძელით! არ გჯერათ? მაგალითები გნებავთ? დიდი სიმოვნებით.

— ალარ ვიცი, რა გავაკეთო სადილად! — თითქმის ტირილით ეუბნება ბაზრიდან დაბრუნებული ცოლი ქმარს. — დღედადღე ყველაფერი ძვირდება. აღრე რომ კონა მნვანილში ათ კაბიკა აძლევდი, ახლა მანეთი უნდა! თანაც ეს კონა ბევრად უფრო გამხდარი და ფერმერთალია. ახლა ხორცს აღარ იყითხავ? ფასებზე რომ ალარაფერი ვთქვა, აგრე სულ ცოტა ხნის წინათ აგირჩევდნენ მაინც. ახლა, თუ შეგხვდა საერთოდ დიდებულიანი ხორცის პატარა ნაჭერი, ყასაბს მაღლობა უნდა უთხრა!..

— ...ის, რომ ჩვენი ეკონომიკა ერიზისამდე მივიდა!.. — თითქოს მას გამოეპასუხაო, გაისმა ტელევიზორის ეკრანიდან, — ამის მიზეზი მპრანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემაში უნდა ვეძებოთ!..

და ამას მოჟყვა ვრცელი საუბარი იმის შესახებ, თუ რა უყო ამ სისტემამ ეკონომიკას, კულტურას, ადამიანს, მის ფსიქიკას, კიდევ იმაზე, რომ, როგორც იქნა, გველირსა ამის შესახებ ვილაპარაკოთ გულახილად და პირდაპირ, რომ დღეს ალარ არსებობს აკრძალული თემები და თანდათანობით. იშლება „თეთრი ლაქები“ ისტორიიდან.

— რაც მართალია, მართალია! ვერ შეედავები! — თითქმის ერთხმად წარმოქვეცოლ-ქმარმა. — უკვე ეულახდილად გვეუბნებიან ჩვენს სხეულებებზე. ან კი წარმოიდგენდი როდისმე, რომ ჩვენს შვილებს ექნებოდათ საშუალება წაეკითხათ ჩვენში გამოცემული ის რომანი?..

თემა ზედგამოჭრილი იყო საუბრისათვის და საუბარიც დიდხანს გაგრძელდა.

— წაიკითხე? — ეუბნება დიდი და პრესტიული დანესებულების ერთი თანამშრომელი მეორეს, — ოქრო გაუძვირებიათ,

თანაც თითქმის როგორ!

— ოქონ წყალსაც წაუღია, — დაუკითხავად ებმება საუბარში მესამე, — ბავ-შვებისათვის პერახგი ვერ მიყიდია და უებსაცმელი! თითქმის მოელი თვის ხელუასი უბრალო რეზინის ფეხსაცმელში მიდის. არადა, რომ აღარ ადგება საშველი ფასების ზრდას?!

— ეჭ, გახსოვთ, როგორ ველოდებოდით ხოლმე ყოველ პირველ აპრილს, — ითხოვა სიტყვა მეოთხემ, მანამდე კროსვორდს რომ ჩასცეროდა, — იმ დღეს ქვეყნდებოდა ტარიფები ფასდაკლებული საქონლისა, კვების პროდუქტები იქნებოდა თუ სამ-რეზელო ნანარმი!..

— „ნიშანდობლივია, რომ ეს ფასდაკლება ხდებოდა სწორედ პირველ აპრილს“. — ხედავთ, რა ნერია გაზეთში? — კითხულობს პირველი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი გაზეთის სტატიას, — „ეს იყო ხალხის დაცინვა და მოტყუება. ხალხის თვალის ახ-ვევის დიდი ასტატები იყვნენ მაშინ მტრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის მეს-ვეურნი. ზოგჯერ ამბობენ, თითქოს მაშინ სახეს იყო მაღაზიები ხისილალით, ნი-თელი თვეზით, ათასნაირი ძებვითა და ყველით. დაფუძნათ, ეს მართლაც იყო. ახ-ლა ის ვიკითხოთ, შეეძლო განა ყველას შეეძინა ეს ხისილალა? ან ჩატომ ავინყდებათ, რამდენჯერ გადმოაბრუნებდნენ ხოლმე ასტატებს?“

— ვერაფერს იტყვი: რაც მართალია, მა-რთალია! — ეთანხმება გაზეთს ჭველა და ინკება საუბარი იმაზე, როგორ უჭირდა მაშინ ყველას. ვიღას ახსოვს დღევანდელი გაჭირვება?

ქარხნის კლუბში შესვენებაზე ტელევი-ზორთან შეერებილან მუშები და ახალ ამ-ბებს ისმენენ.

— არ აირია ქვეყანა, კაცოო? — ნა-მოიძახა ერთმა, როცა კერანიდან წყნარ-მა სახემ და მშვიდმა ხმამ აუღელვებლად აუწყა კიდევ ერთ „ცხელ წერტილზე“ ჩვენს რუკაზე, სადაც რამდენიმე კაცი დაიღუპა და უფრო მეტი დაიჭრა. — ერთ ერს წაე-კიდა და მეზობელი მეზობელს. კაცი კაცს აღარ უნდა ენდოს?!

რას მოვესწარით, ხალხო?

— დღეს ჩვენი საზოგადოება იმკის და-უნდობელი ადმინისტრაციულ-პიუროკა-ტიული რეჟიმის შედეგებს, როცა გაკეი-უინებდნენ „ბრძნული ეროვნული პოლი-ტიკის ზეიმზე“, „ხალხთა დიად შეგობრო-ბაზე“! — ტელევიზორის დიქტორი ამ-ჯერად ემოციურად ყვებოდა ოცდათიანი წლების მასობრივ შიმშილზე, რეპრესი-ებსა და ურთიერთდაბეზლებებზე, ყოვე-ლივე ადამიანურს რომ სპობდნენ ადამი-ანში.

— მართლაც, რა დრო იყო, არა? — ნა-მოიწყო ერთმა და დანარჩენებს გადა-ხედა. ისინი უკვე მხარს უჭერდნენ პირ-ველს, ზოგს გაშეოტები მოემარჯვებინა და სათანადო ადგილებს კითხულობდა იმ

დროზე. ვიღას ახსოვდა დღევანდელი სისხ-ლისლვრა და ძმათა შეტაებები, ცარიელი მაღაზიები და ცეცხლმოდებული ფასები ბაზრებში?!. აღშეოთების მთელი სიმძაფ-რე ნარსულს დასტრიიალებდა!..

სწორედ ეს გახლავთ ფსიქოტელეთე-რაპია, რისი ახსაც თეორიულად ვერ შევ-ძელი და მაგალითებით შევეცადე, ესე იგი, ფსიქოლოგიურ-ტელეპატიური თეორაპია, რაც ყველა უბედურების პანაცეა!

— საით მივდივართ, ხალხორო?!

— აღ-მოხდება ვინმეს დროდადრო სასონარევე-თით.


— ...ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ! — თი-თქოს ამ ამოძანილის პასუხად გაისმის უმთავრესის სადირექტივო ხმა და უმალ-ვე ყველა მშვიდება, ყველა იჯერებს ამ ჭეშმარიტებას.

აი, ეს არის ფსიქოტელეთერაპია!

— არ დაიჯერო! — მინდა ვიყვირო და თქვენც მოგიწოდოთ, რომ ერთხმად შევ-ძახოთ: არ დაიჯეროთ!

ეს არის არა ფსიქოტელეპიზოზი. ნარსულის სი-ავეს გიხსენებენ, რომ დღევანდება უბე-დურებაზე თვალი დაგიხუჭონ! ეს არის ბანგი, რათა გაგაბრუონ, რომ უფრო იოლად დაგიმორჩილონ და მეტის სიჩქა-რით გიკრან თავი უფსკრულისაენ!..

გამოიღვიძეთ! ფსიზლად იყავით! ფსი-ქოტელეთერაპია მოქმედებს!



დაგვაცადონ!

დილაობით გვატყუებდნენ, რომ დღეს ღიღი საქმე გველის, ტაში ბევრი დავაუხეთ და გაქმიერ საქმეელი!

ყოველგვაურ-ყოველწლიურ მოველოდით დადაღიც მაშებს, მსხვილ ბოსებს და მოცრავ ბოსებს კუგალობით დათიაბებს!

თვეზე გვასხდენ მეთაური, ზოგი — ძალით, ზოგი — ნებით და გვმრრთავდნენ თავის კეუით მისამართი თოჯინები!

ხინ უცემით ყოველ მხარეს, ხინ გვიტევდნენ თორის რენტით და მომზინშით შიმშილზე!

გვარშმეტებდნენ, რომ ქვეყანას ხეარმშინებლის დარ ელის!

ხელთ კი რა გვაქს? — ბაზისის ცეცხლი და დახლები ცარიელი.. ესხედვით ბნელში!..

რად არ მოდის, რომ ველოდით, ის ცისარი? ნაცვლად ძმობა-მეგობრობის, რად იღვრება სისხლის ლვრი?!

შევიდ ცხოვრიბას გაბირდებიას, სხვამ კი სამტროდ დანა ლესოს?!


„ვიღრე პეტრე მოვიღოდა, პავლეს ტყვით გამვირისო!“

გვამაღლიან პურს და კარაქს, თოჯენს ვემდებოდა მუჭათად მხოლოდ!

თუ ასე, დაგვაცადონ.

ჩვენს თავი ჩვენვე ვეპატრონოთ!

ნუგაცარ აჭეაზავა



— ცხოვრებაში. როგორც კაცი. არ გამოგვადგა და
ძეგლი მაინც გამოვიყენოთ, ჩართის გეგმა გვექვნე შე-
სასრულებელი!

მუსკო - - მუსკო



უფის ჩემ ნაირ კაცს საზოგადოებაში: როგორც წინიღა
ნაჭერიდან, ისე გამოტეხს ხოლმე შეიგნიდან განწყობილება, და
ზედ სახეზე გადამეფინება.

და დავალ ასე საუთარი შინაგანი სამყაროს გამცემი გამო-
მეტყველებით.

მეღა შევრჩი ამ საპრალოს ოდინდელი თავისი განუშე-
ორებელი სილამაზის მონმედ.

ცოტა როდი უმისამართო და უობელისკო მევლელობა!

ვაი, მგალობელ ფრინველს მტაცებელი ფრინველის
გვერდით!

ვი ი ს ლა შევქმნი, მკითხველს ვაკითხვინო — რატომ არ შე-
ქმნა?

და ამითაც კმაყოფილი მივდივარ.

ნაზაკიარობა მაკმარეთ, შეგ თითო ნუ მჩრით!

ისე ა ღვივ სე ჩემი სიმართლით, ხმა ვერ ამომილია! —
გადმოპირქვავებული სავსე ბოთლიდან სითხეს უჭირს გადმი-
ნთხევა!..

ყოველი კომენტატორი ფეხბურთელია?! ყოველი კრიტიკოსი
მნერალია?!

სავის პუ შტი ი ვით ნაბერი ავტორიტეტები.

მისი ნანარმოები მკითხველის ნამალია... გარეგანი.

როცა მოხდა ქონების კონფისიაცია, მას მოჰყვა გონებისაც!

მგლი ყმუის ტყეში თავის კუჭის სიცარიელეს!..
მე ვყვირი ხალხმრავალ უდაბნოში ჩემი სულის სიცარიე-
ლეს!..
გამგონე არავინ ჩანს!

— რატომ არ ნარმოგაჩენენ?

— მძიმე ნონისას მჩატეებში ვინდა გამრევს?!

მთელი ჩემი შემოქმედება ხელის აწევალა იყო სიტყვის მო-
ცემის თხოვნით!..

ზოგიერთი მეგრილი განსაკულური საკუთარი ნანარ-
მოებისათვის ისეთივე მნიშვნელობისა შეიქნა, როგორიც მამა-
კაცის უძრაველესი დანიშნულებისათვის აქვს თავზე ბოხოსს,
ტანჯე ჩიხა-ხალუხს, ნელზე მოსავადებულ ქამარ-ხაჯალს, ფეხ-
ზე — მოსირმულ ნულა-მესტი!..


უციცი სიკვდილის მიზეზი: მოასმენინე კაცს, თუ ვინ
რას ლაპარაკობს მასზე ზურგსუკან!

რა მშვენიერია ადამიანი, პირუტყვობას რომ მორჩება!

თითოეს ველოდები როდით გალაკტიკონის ნასვლას, რომ
დაგვეწებინა რუსთაველის პრემია!


სიჩევაც რომ მოასმენა უნდა, ეს ბევრს არ ესმის!

ძნელი გასაძლებია, თორემ, არის რაღაც ბედნიერების
ნაპერნკალი იმაში, რომ კოლეგებს არ უუყვარება!



— ბებია, ამ კლუბის რემონტი, შენხელა რომ ვიყავი,
მაშინ დაიწყეს!..

სოფროს ექიმის განაზიანება



— გამარჯობა შენი, მარგალიტა!
— გაგიმარჯოს!..
— ძლიერ არ ვნახე აი მაღაზია გალებული?!
— რატომ გაქვს, გენოია, ამისთანა მნარე ენა?
— არც შენ მყავხარ კამუტ-ტივით ტკბილი!
— შენთან შედარებით თაფლივარ!
— იმიტომ გესევიან ფუტკრები?!
— მითხარი დროზე, რა გინდა, უნდა დავეტო მაღაზია!
— ბანარი მინდა!
— სად მაქვს ბანარი?
— აბა, კუდით მივბა ძროხა ხეზე?
— იმ კვარტალში მექნება!
— მაშინ ჯაჭვი მაინც მომეც!

— მაქვს და არ გაძლევ?!

- ნაჯახიც არა გაქვს?
- რაც იყო, გაიყიდა!
- ნალდი?
- კაი ხანია არ მიგვიღია!
- მაშინ თოხი მომეცი!
- სადაა თოხი?!
- ალბათ არც ბარი გაქვს!
- ქე გოლდნია და რას მექი-თხები?
- ნამგალი მაინც მომეცი, ხვალ ჩაის საკრეფად გავდივა!
- არც ნამგალი მაქვს და არც ცელი!
- ნავთი თუ გაქვს?
- ნავთი კა!
- აბა, ასანთი მე მაქვს აგერ და ნავუკიდოთ ამისთანა მაღაზიას ცეცხლი!..

ნოდარ ხუნდარია

90-240

ნახ. №. ვორჩებისა

7-90



საქართველო
გილდიატორები

საზოგადო და იურიდიკი
ურნალი „ნიაზი“ № 9
(1811). მაისი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

აკოანდილ ადეივილი
(პალებისმებელი მდივანი),
ჭაბუ აშორეგიძე, ნიმადი
ხართვა, ჩევან თვალიძე,
ქვემა ლოლუა (მხატვარ-
რედაქტორი), ნიდარ ჩალა-
ზონა, ალექსანდრე ხაშთ-
ია, ბეგან ხახულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
აფიციუ), ჯანსულ ჩაჩვა-
ძი, თამაზ წივწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუდუაძე

გადაცე ასაჭყობად
4. 04. 90 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდიად 7. 05.
90 წ. ქათლიდის ზომა
60×90 1/8, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5. საღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბაძი 1,9. საქართველოს ქ
სკოს გმირების გ ღ ღ ღ ღ ღ ღ
ქ. კოსტევა ქ. № 14. შეკ.
№ 811. უ 04051. ტირაჟი
125.000. ფურცელი გმოდის
ოვში ორჯერ. რედაქტორი
შემოსული მასალები ივ-
ტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: ს80008.
თბილისი-8, რედაქციული
პროცესი ქ. სამართლის

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მო. რედ. მთადალის —
93-19-42, 3/გ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათ გამგების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუზეუმის — 99-02-38,
მდივნის გ გ გ გ გ გ გ გ გ გ 99-
76-69.

Сатирик юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издатель-
ство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კპ.

ინდექსი 76187



— შეხედეთ, ადამსა და ევას სამოთხის ვაშლის ნამ-
ცხვრების კომპერატივი გაუხსნია!

რეიტურანტ
(ЭКЗЕМПЛЯРЫ)